აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მდივნის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 34

25/10/2016 წელი ქ. ბათუმი

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის
დამკვირვებელთა რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 46-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 47-ე მუხლის მე-2, მე-7 და მე-9 მუხლის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით მეორე ტურის გამართვისათვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებისა და ვადების დადგენის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის 21 ოქტომბრის №14 დადგენილების შესაბამისად, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისათვის რეგისტრაციაში გატარდეს და მიენიჭოს დამკვირვებლის სტატუსი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებულ ყველა დონის საარჩევნო კომისიაში, ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის **„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“** წარმომადგენელი - **ცისნამი ძნელაძე.**

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სოფიო კახაძე

კომისიის მდივანი